დანართი 2.

დიპლომის დანართის შემუშავების პროცედურა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსისა და დიპლომირებული სპეციალისტის სასწავლო პროგრამების კურსდამთავრებულებს დიპლომთან ერთად ეძლევათ დიპლომის დანართი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნების, შესაბამისი უფლებამოსილი პირების ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტების, ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს სარეკომენდაციო დოკუმენტების, თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „დიპლომის დანართის შევსების ინსტრუქციის“ შესაბამისად.

2. დიპლომის დანართის შემუშავებაში მონაწილეობენ: სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი (კოორდინატორი), ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრი შესაბამისი მიმართულებით (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტები, ფაკულტეტის კანცელარიის თანამშრომლები.

3. დიპლომის დანართის ის მუხლები, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას კონკრეტული კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის შესახებ, ივსება ინდივიდუალურად თითოეულ სტუდენტზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ან კანცელარიის თანამშრომლების მიერ;

4. დიპლომის დანართის ის მუხლები, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას არა კონკრეტულად სტუდენტის, არამედ ზოგადად სასწავლო პროგრამის შესახებ, ივსება ინდივიდუალურად თითოეული სასწავლო (საბაკალავრო, დიპლომირებული სპეციალისტის, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო) პროგრამისათვის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) შეთანხებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

5. დიპლომის დანართის ის მუხლები, რომლებიც გვაწვდის ინფორმაციას არა კონკრეტული სტუდენტის და სასწავლო პროგრამის, არამედ ზოგადად უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის

და საქართველოს განათლების სისტემის შესახებ, ივსება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით სასწავლო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

6. დიპლომის დანართის ინგლისური ვერსიის მომზადებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური შესაბამისი სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელთან (კოორდინატორთან) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. დიპლომის დანართის ინგლისური ვერსიის რედაქტირებას უზრუნველყოფს თსუ სასწავლო დეპარტამენტის წარდგინებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ხელშეკრულებით მოწვეული ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

7. თსუ სასწავლო დეპარტამენტი სისტემატურად ამოწმებს გაცემული დიპლომის დანართების შესაბამისობას „დიპლომის დანართის შემუშავების ინსტრუქციის“ მოთხოვნებთან.